



საქართველოს უზენაესი სასამართლო  
SUPREME COURT OF GEORGIA

მ ა რ თ ლ მ ა ს ა ჯ უ ლ ე ბ ა  
JUSTICE



## თავარ შრომაში

იგანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ღოქტორანტი

უსახლის პროდუქტის მიყენებული ჩიანისათვის

კას უსისმგებლობის სამართლებრივი პროცესები ეპროცესი და  
ევროპულ კანონმდებლობის მიზანისთვის

### 1. შესავალი

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება, რომლის გამსაზღვრული ორი კრიტერიუმი პროდუქციის ხარისხი და კონკურენტუნარიანობაა, რაც მნიშვნელოვან განაპირობებს პროდუქციის ხარისხის მარეგულირებელი კანონმდებლობის თეორიული და პრაქტიკული ნაკლოვანებების შეწავლას. უხარისხო და მოხმარებისათვის უკარგის პროდუქციისთვის ბრძოლა უშუალო კავშირშია მომხმარებელთა ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების დაცვასთან. მისი მოუგვარებლობის შემთხვევაში პრიცესი შეიძლება ფარული გენოციდის ან თავისებური სამრეწველო ტერიტორიაზე სახეც მიღილო, მითუმეტეს, როცა თანამდებოვე ტეატრებისა საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე არსებობს საეჭვო წარმოშობის მრავალფროვანი პროდუქცია.

მართლია, საბაზო ეკონომიკის პრიობებში სახელმწიფო პოლიტიკა ბიზნესზე ნაკლებ ზეწოლას ახორციელებს, თუმცა სახელმწიფო სამეწარმეო საქმიანობაზე პირდაპირი კონტროლი მრავალი საშუალებით ხდება, მათ შორის, საკუვები პროდუქტებისა და მედიკამენტების ხარისხის კონტროლის კუთხით.<sup>1</sup>

დღეს საქართველოში მრავალი ცნობილი და წარმატებული ბრძნდი მიმართავს საქრთაშორისო ორგანიზაცია **ss 9000-ს (ISO 9000-ს)**,<sup>2</sup> რომლის ექსპერტთა დასკნები და სერთიფიკატები პროდუქციის ხარისხის მაღალი დონის მაჩვენებლად და სამომხმარებლო ბაზარზე მათი პროდუქციის დამკავდრებისათვის თითოეული კომპანიისათვის რეალურ გარანტიად ითვლება. მომხმარებელი კი ამ ნიშნით ინფორმირებული ხდება, რომ მის მელობელ კომპანიას ხარისხს მართვის სისტემა მაღალ დონეზე აქვს დანერგილი და მისი პროდუქციის ხარისხი ნამდვილად უმაღლესია. აქედან გამომდინარე კომპანიები თავად არიან დაინტერესებული, მოპოვონ ახეთი ხარისხის დამატებულებელი სერიუმისატესტი.

დღეისათვის საქართველოში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია დანიტერესებული, ჩატაროს ლაბორატორიული ექსპერტიზა, თუმცა ეს პროცესი მთლიანად მეტარმის სურვილსა და ნებაზე დამოკიდებული და არავითარი სახელმწიფოებრივი მარეგულირებელი მექანიზმი არ არსებობს, რომელიც ამ პრიცესს ნაწილობრივ მაინც სავალდებულოს გახდიდა.

პროდუქციის უხარისხის საფუძველზე შეიძლება როგორც სისხლის, ისე აღმინისტრაციული სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომა, მაგრამ ჩვენი კვლევის სფეროს სამოქალაქო

<sup>1</sup>თენის ახობაძე, სახელმწიფოს როლი კორპორაციული მართვის სისტემაში, ფურ. ქართული სამართლის მიმღებლები, ტომი 7 №2-3 (1) 2004, გვ. 376.

<sup>2</sup> ISO-სტანდარტების საქრთაშორისო ორგანიზაცია /ss 9000 (International Organization for Standardization /ISO 9000) სსო 9000 აურთანებს მსოფლიო მნიშვნელობის 5 სტანდარტს, რომელიც ეხდა ხარისხის მენეჯმენტს. ის არ წარმოადგენს პროდუქტების სტანდარტს. მასში წარმოდგენილია სტანდარტები, რომელიც შემოღებულია ხარისხის მართვის სისტემისათვის.

სამართლებრივი პასუხისმგებლობა და მის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი პროცედურები წარმოადგენს.

სამოქალაქო სამართლში უხარისხო პროცედურით გამოწვეული ზანისათვის პასუხისმგებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური პროცედურა. მის მიმართ ფურადღება განსაკუთრებით გაიზარდა საბაზრო ურთიერთობების დაგვიდრების პირობებში, როდესაც საკმაო გაფართოვდა საერთაშორისო წარმოება და მისი სპეციალური შესაბამისად, განჩნდა ტექნიკურად როგორი პროცედურები და მრავალფეროვანი სასაქონლო ასორტიმენტი. ამასთან, გაფართოვდა სასაქონლო მიმოქცევა. ვიდრე პროცედურით შეარმოებლივდნ მომხმარებლადე მიაღწევდეს, იგი გადის საკმაო როგორ გზას და უამრავი სამართლებრივი სტატუსის მქონე პირის ხელში გაიღლის. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში არც თუ ისე თოლია კონკრეტულად ბრალეული პირის მოტება და პასუხისმგებლივის დაკისრება. ახალი ტექნიკული განვითავიც ართობდეს უხარისხო პროცედურით მიყენებული ზანისათვის პასუხისმგებლობის დაგენის პროცედურას ჩვენი კვლევის უმთავრესი მიზნია, ქართულ სამოქალაქო სამართლში გაირკვეს და დაგინდეს, თუ ვის დაეკისრება უხარისხო პროცედურით მიყენებული ზანისათვის პასუხისმგებლობა, რადგანაც ჯერ კიდევ გაუკრავებლად პასუხისმგებლივის ხელშეკრის სამართლებრივი სტატუსი – იქნება ეს ხელშეკრულების მხარე (გამჭიდველი, გამქიდველი, ლიზინგის გამცემი) თუ მწარმოებელ-დამამზადებელი, ვისთანაც მომხმარებელი არასახელშეკრულებო კავშირშია.

დღესათვეს ამ საკითხებ როგორც სასამართლო პარაქტიკაში, ისე – მეცნიერებაში, აზროვნისა მრავალფეროვნება შეიმჩნევა და ობიექტური აუცილებლობა მოითხოვს, ამ საკითხთ დაკავშირებით გასწორდეს მრავლი ხარვეზი და სრულყოფილი სამართლებრივი კონსტრუქციის სახე მიიღოს, რომელიც პარმონიზებული იქნება საერთაშორისო კანონმდებლობასთან.

საქართველო დღეს რეფორმების პრიცესშია და მისი დაკლარირებული მიმართულება ევროპაშისაკენ მნიშვნელოვან ცვლილებებს აგალდებულებს, მათ შორის, პროცედურით უსაფრთხოებისა და ხარისხის კუთხით. თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს ეროვაციშირის მოქმედი კანონმდებლობის უბრალო განმოღებას და ამიტებებას საქართველოს ტერიტორიაზე. ეროვაციშირ მეორადი კანონმდებლობის ფარგლებში დაიდ ხანია ზრუნვას ეროვაცია აზრის დაცვაზე უხარისხო პროცედურისასაც. პროცედურის უსაფრთხოების სფეროში არის რამდენიმე დოკუმენტი<sup>3</sup>, რომელიც არ არის პირაპირი მოქმედების აქტი, მათ განხორციელებას სჭირდება ეროვაცია კანონმდებლობაში იმპლემენტაცია, ანუ ამ მიზნით ეროვაციული ნირმატივილი აქტების შექმნა. შინაარსისიდან დირექტივია, როგორც წესი, აღვენს მიზნებს, რომელსაც ქვემობმა უნდა მიაღწიოს და მათი მიღწევის ვადებს, აგრეთვე, ზოგად მიმართულებებსა და მთათებებს.<sup>4</sup>

ეროვაციშირის ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ 1985 წელს განხილულდა აზნიშული საკითხის სამართლებრივი რეგულირების რეგისტრული უნიფიკაცია, უსარისხო პროცედურით მიყენებული ზანისათვის პასუხისმგებლობა აგებულია დელიქტური სამოქალაქო-სამართლებრივი მიყენებული მიმწერის პირობებით და კონცენტრირდება პროცედურის მწარმოებლის-დამამზადებლის მიმართ.<sup>5</sup>

<sup>3</sup> Council Directive 85/374/EEC Directive on Defective products, Council Directive 92/59/EEC General product safety, Council Directive 92/59/EEC General product safety, EC legislation 2003/2004 edited by Nigel G. Foster.

<sup>4</sup> დირექტივა წარმოადგინს წვერა-ქვეყნების ხელისუფლების მიერ საგალდებულოდ შესასრულებელ აქტებს. მოქალაქეებს შეუძლია აღმოსავა საქმე ეკროსასამართლოში ამა თუ იმ ქვეშის მიერ ეროვაციების მიერ დარღვევის შესახებ, თუმცა ამ დირექტივაზე დაყრდნობით სხვა მოქალაქეების ან კრძალ პირების მიმართ დარღვევის შესახებ მოქალაქეებს არ შეუძლია.

<sup>5</sup> ზ. ძლიერიშვილი, ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბ., 2006, გვ.117-118.

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ევროკავშირის დირექტივის დებულებების გათვალისწინება. მათ შორის აღსანიშნავია ორი დარექტივა. ესნაა: დირექტივა პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ (92/59/EEC) და დირექტივა უხარისხო პროდუქციით გამოწვეული ზიანის ანაზღურების გალებულების შესახებ (85/374.EEC).<sup>6</sup>

საკანონმდებლო დაბირინთში მომხმარებლისთვის ადვილი არ უნდა იყოს მისი უფლების რეალური დაცვის გარანტიების მოძიება. ამ სევროს მარეგულირებული საკანონმდებლო აქტების სიმრავლე და ხშირი ცვლილებები ბადებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის აქტების სიმრავლე და ხშირი ცვლილებები ბადებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი სირთულეს. ამ ფაქტორს ხელს უწყობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმის არასრულყოფილება, მოსახლეობის დიდი ნაწილის დაბალი მსყიდველობითი უხარი და ამის გამო იავასანი, დაბალი ხარისხის პროდუქციის შექმნის იძულებითი სურვილი.

## 2. უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი ინსტიტუტი ქართულ სამოქალაქო სამართალში

### 2.1 პროდუქტის ცნება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - სსკ) 1009-1016-ე მუხლები უშუალოდ არეგულირებს უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობას, მაგრამ კოდექსი რომ მოცემული სამართლებრივი ინსტიტუტი არასრულყოფილად არის რეგლამენტირებული და იგი მოითხოვს საკანონმდებლო დონეზე დახვეწას, კერძოდ, დაუზუსტებელია პროდუქტის ცნება, უხარისხო პროდუქტის შეფასების კრიტერიუმები და პრინციპები, პასუხისმგებლობის სუბიექტთა წრის განსაზღვრა.<sup>7</sup>

სსკ-ის 317-ე მუხლის პირველი პუნქტი აყალიბებს ვალებულების წარმოშობის საფუძვლებს, კურძებ, კალდებულება წარმოშვება ხელშეკრულების, ზანის მიყენების, უსაფუძლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამ განმარტების ფონზე ძნელია, უხარისხო პროდუქციით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მარეგულირებული ნორმები მივაკუთვნოთ რომელმებ კატეგორიას, ვინაიდნ ეს ნორმები მოქმედებს მაშინაც, როდესაც მხარეები ერთმანეთან იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, თუმცა იგი სსკ-ის დელიქტური ვალდებულებების კარშია შესული და იზარებს ბევრ სამართლებრივ კონსტიტუქციას, რაც ამ ინსტიტუტისთვის არის დამახასიათებელი.<sup>8</sup>

საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმებისა და განახლებული კანონმდებლობის შეცვალებისა და გამოყენებასთან დაკავშირებული პრიოლეგების ფონზე გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თურიდოულ ცნებათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. კანონმდებლის გასაგებ და თურიდოული ტექნიკის თვალსაზრისით ზუსტ ენაზე „მეტყველება“ ქვეყნაში სამართლებრივი კულტურის დახვეწის წინამდებარება. არაერთი პრიორესული სამართლებრივი ინსტიტუტის დამკაიდების მცდელობა, სწორედ საკანონმდებლო ტექნიკისა და არსებული ცნებათა სისტემის სარვეზების გამო, მცდელობად რჩება. ხშირად საქრითაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით

<sup>6</sup> Blackstones EC Legislation. 14th edition, edited by Nigel G. Foster, Jean Monnet. 2003-2004. p..591-596. 606-616.

<sup>7</sup> ზ. ახლებდინი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2001, გვ. 278.

<sup>8</sup> ვალდებულების წარმოშობის საფუძლებთან დაკავშირებით იხ.ს. ძღიერიშვილი, ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ, თბ., 2005. გვ. 3-11

შექმუშავებული კანონები ვერ აღწევს სასურველ შედეგს და მხოლოდ ცალკეული სამართლის ინსტიტუტის დამკაიდრების სურვილის დეპლარიტებას ახდენს. ეს, თავისითავად, მნიშვნელოვან წინაგადადგმულ ნაბიჯად უნდა მიიჩნიოთ, თუმცა აუცილებელია ტექნიკური უზუსტობების გამოსწორება.<sup>9</sup>

ამგვარი უზუსტობანი უხარისხო პროდუქციით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში მრავლად მოიძებნება, რასაც ადასტურებს ამ სფეროს მარეგულირებელ საკანონმდებლო ოქტემბრი გამოყენებულ ტერმინთა არაერთგაროვანი განმარტებები.

სსკის 1011-ე მუხლი განმარტავს პროდუქტის ცნებას. პროდუქტად მიიჩნევა ყველა მოძრავი ნივთი, მაშინაც, როცა იგი სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგრული ნაწილს შეავგენს, ასევე, ელექტროდენი. მათ ვერ კიდევ არ მიუკუთხნება შეცხოველობის, მუკუტქრობის, მეთვე ჟეიის და მიწათმოქმედებიდან მიღებული გადაუმტავებელი სასოფლო სამუშაოები პროდუქტები (ნატურალური სასოფლო სამუშაოები პროდუქტები), იგივე წესი გამოიყენება ნადირობის შედეგად მიღებული პროდუქტების მიმართ.

შეიძლება თქვას, რომ სსკ-ი გერმანული კანონმდებლობის გავლენით იძერებს უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანით პასუხისმგებლობის ევროლიტეტივის დებულებებს. დირექტივის მე-2 მუხლის თანახმად, პროდუქტი ნიმუშავს ყველა მოძრავ ნივთს, მაშინაც, როცა იგი სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის ნაწილს შეადგენს (ე. ი. შემადგენლი ნაწილია) და ცალსახად მიუთოთებს, რომ ელექტროდენიც პროდუქტია.<sup>10</sup> აღნიშნული განმარტების თაობაზე შეიძლება გამოითქვას რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა პროდუქტის ცნებასთან დაკავშირდით.

სსკის 1011-ე მუხლის უდავო ნაკლ ჭარბობადგენს სასოფლო სამუშაო პროდუქტების დაცვის სფეროდან ამოღება. ქვეყნაში, სადაც არსებობს თვითდასაქმებული ან ინდივიდუალური მექანიკ, რომელის შემოსავალს სწორედ ამგვარი სახის პროდუქტების დამზადება წარმოადგენს, მას ხმირ შემთხვევაში არ აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება წარმოების ყველა დეტალზე, მათ შორის, უსაფრთხოებაზე. ამ ფონზე მომზადებული რჩება სამართლებრივი დაცვის გარეშე, ევროპელ მეცნიერთა ახრით, ყველაზე მკაცრ გაკიცხვას იძახურებს სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქტების და ნადირობის შედეგად მიღებული პროდუქტებს გამორცხვა, რაც გულისხმობს „მიწათმოქმედების, შეცხოველობის და თვეზეჭრის პროდუქტებს“; რომელისაც არ განუცდა პირველადი დამუშავება. ევროკავშირის წევრი ქვეყნები თვლიან, რომ ეს გამონაკლისი უნდა გაუქმდეს, თუმცა რეალურად ეს მხოლოდ რამდენიმე ქვეყნამ გააკმა. საკარაულო, დირექტივაში შეტანილი იქნება შესწორებები სოფლის მეურნეობის გააკმა. საკარაულო, დირექტივაში შეტანილი იქნება შესწორებები სოფლის მეურნეობის გააკმა. საკარაულო პროდუქტებისა და ნანადირების გათვალისწინების მიზნით. მხოლოდ უნიტმა, პირველადი პროდუქტებისა და ნანადირების გათვალისწინების მიზნით. მხოლოდ უნიტმა, ლუქსემბურგმა და შვედეთმა არჩეს სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქტია გათვალისწინა პროდუქტია ჩამონათვალში.<sup>11</sup>

სამოქალაქო კოდექსი პროდუქტის ცნებაში მოიხსენიებს, აგრეთვე, ელექტროდენს, რაც იმითაა განმორიბებული, რომ ეს უკანასნებლი არ არის ნივთი სამოქალაქო კოდექსის გავებით. მიმწოდებული პასუხს აგებს უხარისხო ელექტროდენის მიწოდებისათვის. ამ საფუძვლით ბენებრივმა აირმაც უნდა პოვოს საკანონმდებლო ასახვა პროდუქტის ცნებაში, რადგან ბენებრივმა აირმაც უნდა პოვოს საკანონმდებლო ასახვა პროდუქტის ცნებაში, რადგან

<sup>9</sup> დ. ქვესელიძე, თურიდოულ ცნებათა ერთანი სისტემის შემზადება, უკ. ქართული სამართლის მიმოხილვა, № 4, 2003, 444 გვ.

<sup>10</sup> Council Directive 85/374 (Defective products) EC Legislation 2003-2004 (14<sup>th</sup> edition) edited by Nigel G. Foster. Oxford university press, p. 593.

<sup>11</sup> Towards a European civil code, second revised and expanded edition, editors: Arthur Hartkamp, Martijn Hesselink, Ewoud Hondius, Carla Joustra, Eolgar du Perron. 1998. p.451.

საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ კანონით მათი სამართლებრივი რეგულირება ერთი კანონის ფარგლებშია თავმოყრილი.

სსკ-ის 1011-ე მუხლის მიხედვით, პროდუქტია მომრავი ნივთი, მაშინაც, თუ ის სხვა მოძრავი ან უძრავი ნივის ნაწილს შეაღებს. ასუხისმგებლობა დაგება იმ ნივთებით მიყენებული ზიანისათვის, რომელიც გამოიყენება მიწაზე მცარად მდგარ შენობა-ნაგებობებში ან მათშია ჩაშენებული. მიწის ნაკვეთზე მცარად მდგარი შენობა-ნაგებობა, როგორც უძრავი ნივთი, ჩაშენებული. არ არის პროდუქტი მაგალითად, იმ უხარისხო სამშენებლო მასალის მწარმოებელი, თავისთავად არ არის პროდუქტი მაგალითად, იმ უხარისხო სახლის ნგრევის შედეგად დამდგრი რითა საცხოვრებელი სახლი აშენდა, ასუხს აგებებ სახლის ნგრევის შედეგად დამდგრი ზიანისათვის, ხოლო სამშენებლო საწარმო, რომელმაც სახლი მოწოდებული მასალით აშენა, ასუხს აგებს არა კოდექსს 1009-ე მუხლის მიხედვით, არამედ – დელიქტური სამართლის საფუძველზე.

ზემოთ აღნიშნული განმრტებებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთებს დასკვნა, რომ პროდუქტია მიწნეული ყველაფერი, რასაც თავისი ბუნებრივი დასრულებული მდგრომარეობა გააჩნია პირველად გადამუშავებამდე და რაც, გაურკვეველი მიზეზების გამო, გატანილია სსკ-ის სამართლებრივი დაცვის ფარგლებით, ხოლო პროდუქციად მიწნეულია ყველაფერი, რაც წარმოებას ექვემდებარება და წარმოების კველის სტადიის გავლის შეძეგვ იღებს სასაქონლო სახეს. სპეციალურ კანონებში პროდუქციის ცნება საქონელთან ერთდ მომსახურებასა და სამუშაოსაც მოიცავს. აქედან გამომდინარე, პროდუქციის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე პროდუქტის და უწყვეტესი იქნება, თუ კანონმდებლობაში ერთი ტერმინი დამკვიდრდება.

## 2.2 უხარისხო პროდუქტის ცნება

ცნებათა ასეთივე სიმრავლე არსებსობს პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით, რაც დაზუსტებას მოითხოვს. სსკ-ი არ იძლევა ხარისხიანი პროდუქტის განსაზღვრებას, ხოლო 1010-ე მუხლის მიხედვით, პროდუქტი უხარისხოდ ითვლება, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ სამედოობას, რომელიც კველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან. პროდუქტი არ მიიჩნევა უხარისხოდ მხოლოდ იმის გამო, რომ მოგვიანებით უფრო უკეთესი პროდუქტი იქნა ბრუნვაში შეტანილი.

აღნიშნული მუხლის ხარჯვად უნდა მივიჩნიოთ უხარისხობის კრიტერიუმად საიმედოობის კატეგორიის გათვალისწინება, რაც სამოქალაქი ბრუნვის მონაცილისთვის როგორი შეფასებულია. მნელია მომხმარებელმა განსაზღვროს, რამდენად სამედო ან უმედოა ესა თუ ის პროდუქტი.

ხარისხის შესახებ პირობა არ წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას და, შესაბამისად, ხელშეკრულება დაღებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მხარეებს შორის არ არსებობს შეთანხმება ხელშეკრულების საგნის ხარისხზე. ხარისხის გაუფალისწინებლობა არ ნაშავს მისი დაუცველობის გამო პასუხისმგებლობისაგან განთავალისუფლების პირობას. თუმცა, თუ გადავაკლები თვალს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკას, ნათელი ხდება, რომ ხელშეკრულების მხარეები უმრავლეს შემთხვევაში თავიდანვე თანხმდებიან ნივთის ხარისხის შესახებ, რომელიც მირითადად შეესაბამება კონკრეტულ სფეროში დამკვიდრებულ სავაჭრო ჩვეულებებს და ტრადიციებს.

ხელშეკრულების მხარეები ხშირად მიმართავენ ხარისხის განსაზღვრის ფართოდ გავრცელებულ კრიტერიუმებს, როგორიცაა „კარგი“, „საშუალო ხარისხი“, ანდა საქონელი „ისეთი, როგორიც არის“ (asis) ანდა „ყველა თავისი ნაკლით“ (with all faults) და ა.შ.<sup>12</sup>

<sup>12</sup> ზ. ძლიერიშვილი, ნახევრობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბ., 2006, გვ. 86-87.

ხარისხის ტექნიკურ-ეკონომიკური გაგდა პროდუქტის იმ თვისებებს მოიცავს, რომლებიც მას სასარგებლოს და დაინიშნულების მიზნით გამოსაყენებლს ხდის. სწორედ ხარისხი განსაზღვრავს ფასს და სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს ინტერსს ხევთის მიმართ.<sup>13</sup>

გერმანული სამართლის მიხედვით, სამოქალაქო სკულპტურის 434-ე პარაგრაფში მოცემულ ნივთობრივად უნაკლო ნივთის განმარტებაში სწორედ მხარეთა მიერ ნივთის შეთანხმებულ თვისებაზე საუბარი და არა მხოლოდ ხარისხშე. შეთანხმებული ხარისხის ნივთის შეიძლება არ გააჩნიას შეთანხმებული თვისება.<sup>14</sup>

ხარისხი უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე — ოვისობრითია, თვისობრითის ცნება მოიცავს არა მარტო ოვით ნივთის დამახასიათებელ თვისებებს (მაგ.: ახალი ოუ სახმარი, სიღიღე წონა, ასაკი და ა.შ.), არამედ იმ ფაქტობრივ, კურონიმიურ და სამართლებრივ დამოკიდებულებებსაც, რომელიც ნივთის არსებულ მდგრადრებიდან გამომდინარებს და მას გარკვეული პრიორის მანილზე ახასიათებს. საეჭვოა, ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები ხარისხის ცნებად მოიაზრებოდეს მაგ.: ოუ გაირკვევა, რომ სახატი ცნობილ მხატვარს არ ეკუთვნის, ეს ფაქტი მის ხარისხზე გავლენას კრ მოახდენს, შესაბამისად, გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, ნივთიბრივ ნაკლად არ ჩაითვლია. აქედან გამომდინარე, ხარისხის ცნება მოიცავს მხოლოდ ისეთ თვისებებს, რომელიც ნივთს უშეალოდ ახასიათებს. სხვა დანარჩენს ყურადღება არ მიექცევა. აქედან წარმოქმნილი პრიობლემების თავიდან ასაცილებლად მყიდვებს შეუძლია გარემოები, რომელსაც ხარისხის ცნება არ გვლის სხმობს, თავიდანვე ხელშეკრულების უშალო ნაწილად აქციონ.<sup>15</sup>

„სარისხს სტანდარტებზეც ის საერთაშორისო ორგანიზაცია გამარტავს შეძლევი სახით: „სარისხ პროდუქტის თვისებებისა და დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მის მიერ მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაქმაყოფილების უნარს”. მომხმარებელი დაინტერესებულია არა შრომის პროდუქტით, არამედ მისი იმ კონკრეტული თვისებებით, რომლებითაც შეუძლიათ დაიკამაყოფილონ მოთხოვნილებები. სწორედ სასარგებლო თვისებები აქცვეს პროდუქტს მოხმარების საგნად. პროდუქტის სარისხი დამოკიდებულია მის სასარგებლო ნიშან-თვალისებრებზე<sup>16</sup>”.

აქედან გამომდინარე თითოეულ კონკრეტულ ხელშეკრულებაში სადაცოდ რჩება, რა არის ხარისხის შეფასების კრიტერიუმი ან რა უნდა გაითვალისწინონ მხარეები, თუმცა, თუ გადავხედავთ განკორეპული ქავეჭების კანონმდებლობას, უმჯობესი იქნება თუ ხარისხის შეფასების დროს გათვალისწინებული იქნეს არა საიმედოობა, არამედ – პროდუქტის ოფისობრიობა.

2.3 უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სუბიექტი

სსკ-ის 1011-ე მუხლი კრიმინალურად თავისი შინაარსით, ვინაიდან ის პროლეტატის ცნობასთან ერთად განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება მიეკინიოთ მწარმოებლად – პასუხისმგებლობის სუბიექტზე.

<sup>13</sup> В.А. Давыдов. Система объектов гражданских прав: теория и судебная практика. Санкт-Петербург 2002. стр. 252.

სამართლის მიმღებილვა, საცენტრო განაკვეთი, 2007, გვ. 164.

<sup>16</sup> „მარკეტინგი”, პროფ. გ. შებდლაძის ექლაკტის, თბილისი, 1999, გვ.

სსკ-ის 1011-ე მუხლის 2-ე პუნქტის მიხედვით მწარმოებლად მიიჩნევა პირი, ვინც საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი, ან პროდუქტის ნაწილის წარმოება განახორციელა. მწარმოებლად ასევე თოვლება ყველა, ვინც საკუთარი სახელით სასაქონლო ან სხვაგვარი განასხვავებელი ნიშნით გამოიის, როგორც მწარმოებელი.

უმჯობესი იქნებოდა, რომ მწარმოებლად მივიჩნიოთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებული საწარმო, რომლის საქმიანობის მიზნის შეადგნას პროდუქტის დამზადება, წარმოება, გასაღება.

ამავე მუხლით მწარმოებლად, აგრეთვე, ითვლება პირი, რომელსაც თავისი საქმიანი მოღვაწეობის სფეროში პროდუქტი სამუშაოებით გამოიქვს გაქირავების, ლიზინგის ან სხვა ფორმით სამოქალაქო კოლექტით გათვალისწინებული პირობების დაცვით. შენიშვნის სახით უნდა თქვას, რომ უხარისხო პროდუქტი სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზეც შეიძლება მოხდეს დაზარალებულის ხელში, ამიტომ ხელშეკრულებათა მხარეების ჩამონათვალის მაგივრად კარგი იქნებოდა, თუ მწარმოებლად მივიჩნევდით ხელშეკრულების მხარეს, რომელსაც პროდუქტი გამოიქვს სამუშაოებით მიზნებით თავისი საქმიანი მოღვაწეობის სფეროში.

მნიშვნელოვანია ევროპული გამოცდილების გაზიარება მწარმოებლის სტატუსთან დაკავშირებით. დაზარალებულებისათვის ეს საკითხი სინტერესთა მრავალი ფაქტორის გამო. საქონლის ყიდვის შემთხვევაში მას შეუძლია სარჩელით მიმართოს გამყიდველის, მაგრამ გამყიდველი და მყიდველი დაკავშირებული არაან ხელშეკრულებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სარჩელი განპირობებულია ან შეზღუდულია სახელშეკრულებით ურთიერთ-ვალდებულებებით. იგივე ეხება ხელშეკრულებაში სარჩელის ზღვრული თანხის დადგენას მისი წარდგენის უმკლეს კადებს, აგრეთვე, პრეტენზიებს ხარისხის მიმართ. მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში გამყიდველის კალებებულება, ანაზღაუროს ზიანი, დამოცდებულია მისი ბრალის არსებობაზე საქონლის უხარისხობის გამო. მაგრამ, თუ გამყიდველი მხოლოდ სავაჭრო შუამავლის როლს ასრულებს, ამ შემთხვევაში მასი ბრალის დამტკიცება არც თუ ისე ადვილი იქნება. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველს არაასაქმარისი ცოდნა გააჩნია რთული ტექნიკური მიწყობილობების, საექსპერტო შეფასებისათვის და ხარისხობრივი მდგომარეობის განსაზღვრისათვის. როგორც წესი, დღვისათვის ყველა საქონლის რეალზაცია ხდება სავაჭრო ქსელის მეშვეობით, რომლის წარმომადგენლები არ არაან დამაშავე იმაში, რომ მათ მიერ გასაყიდად გამოტანილი საქონელი უხარისხოა. ამავე დროს, ზოგადი წესის თანახმად, ზიანის მიმყენებლის ბრალებულობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისთვის, რომ გაკეთდეს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე.<sup>17</sup>

ძირითად პრინციპს წარმოადგენს „მწარმოებლის პასუხისმგებლობა“ ტერმინი „მწარმოებელი“ მოიცავს როგორც მათ, ვისაც ბუნებრივად შეიძლება ეწოდოს ასე, ე. ი. მზა პროდუქტების ან შემადგენელი ნაწილების დამამზადებლებს და ნედლეულის მწარმოებლებს, ისე მათაც, ვინც მანკლემანიც არ ერგბარი ან სიტყვის ლიტერატურულ მნიშვნელობას. ამრიგად, მისი მნიშვნელობა უფრო ფართოა და მოიცავს „თვით-მარკირებლებლსაც“, ე. ი. სუბიექტებს, რომლებიც საკუთარი სახელების, სავაჭრო ნიშნების და სხვა განმასხვავებული ნიშნების მიმარტების მეშვეობით საკუთარ თავს მწარმოებლებად წარმოვადგენენ. გარდა ამისა, პასუხისმგებლობა ეკისრება ეკრანულითინარებაში პრიდუქციის მპორტითორსაც. მიმწოდებლებს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკისრებათ, თუ უპასუხოდ დატოვებენ დაზარალებული პირის მოთხოვნას მისი მიმწოდებლის ან მწარმოებლის-იმპორტითორის შესახებ ინფორმაციის მატოდების თაობაზე.<sup>17</sup>

<sup>17</sup> Towards a European civil code, second revised and expanded edition, editors: Arthur Hartkamp, Martijn Hesselink, Ewoud Hondius, Carla Joustra, Eolgar du Perron. 1998, p.451.

სსკ-ს 1012-ე მუხლი უხარისხო პროდუქციით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთის დაზარალებულს აკირებს, მაშინ, როდესაც სსკ-ის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იფი ამფარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

მტკიცების ტვირთი ერთნაირად ეკისრებათ მხარეებს და ეს ტვირთი თანაბრად ნაწილდება მათ შორის.<sup>18</sup> ამგვარად, დაზარალებულს, რომელსაც წარმოდგენა არ შეძლება პქონდეს წარმოების არცერთ სტადიაზე და ტექნიკუროგოურ პროცესზე, მნელია დავაკისრით მტკიცების ტვირთი. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, მატერიალურ სამართლებრივი ნორმებით მტკიცების ტვირთის გადანაწილება მხარეებს შორის, რაც საშუალებას მისცემს სასამართლოს, ზუსტად განსაზღვროს, თუ რომელი ფაქტები განეკუთვნება სარჩელის საფუძვლში შემავლ ფაქტებს, რომლებიც მისარჩელებ უნდა დაამტკიცოს და რომელი ფაქტები განეკუთვნება შესაგებელის საფუძველს, რომლებიც მოპასუხებ უნდა დაამტკიცოს. დაზარალებულის მტკიცების ტვირთი ზიანის მიყენების ფაქტით უნდა შემოიფარგლებოდეს, ვინაიდა მას არ შეუძლია ამტკიცოს, კონკრეტული პროდუქტის წარმოებისას რაში იყო დაშეგებული შეცდომა.

კლევის შედეგებით გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლების, კლემწნებისა და პასუხისმგებლობის მოცულობის დადგენით მოხდება უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი ინსტიტუტის სრულფორ და ცხოვრებისეულ რეალობასთან დაახლოება.

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის პრობლემა ჩვენ მიერ შეწავლილ იქნა რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე, მათ უმეტეს ნაწილში ეს პრიბლემა სხვადასხვა სამართლებრივი ფურმებითა და საფუძვლებით წესრიგდება, რომელთა განაღლიზება საშუალებას მოგვცემს, გვაკეთოთ მნიშვნელოვანი დასკვნები და შევიმუშაოთ წინაძალებები.

თანამედროვე პრობებში იურისტი არ ქავიწილდება მხოლოდ „საკუთარი“ სამართლებრივი სისტემების ცოდნით, აქედან გამომდინარე, იურისპრუდენციაში სულ უფრო იზრდება შედარებითი სამართლმცოდნებობის მნიშვნელობა. შედარებითი სამართლმცოდნებია ადვილებს უცხო ქვეწის იურისტებთან ურთიერთობას, იღებეა აზროვნებისა და იურიდიული არგუმენტაციის (განსხვავებული) წესების გაცნობის საშუალებას. საზღვარგარეთის ქვეწის სამართლის შეწავლა აუცილებელია საკუთარი სამართლის ინსტიტუტებისა და მეორების უკეთესად გააზრებისა და სამართლის საზღვარგარეული ისტემების მიერ დაგროვილი დადგითი გამოყიდვების გასაცნობად. შედარებითი სამართლებრივი გამოკლევის პროცესში შესაძლებელი განვდება სამართლის როგორც საკუთარი, ასევე, უცხო სისტემების შეფასება.<sup>19</sup>

### 3. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი პრობლემები და მისი სრულფორის შექანიზმი საქართველოში

საქართველოში, ისევე, როგორც პოსტსაბჭოურ ქვეწის მომხმარებელი ტრადიციულად უფლებო იყო და არ არსებობდა მომხმარებელთა დაცვის საკონნმდებლო საფუძვლები. უფლებო იყო და არ არსებობდა მომხმარებელი იმენდა იმას, რასაც და რა ფასადაც სიავაზობდნენ. იგორირებული იყო მომხმარებელი იმენდა იმას, რასაც და რა ფასადაც სიავაზობდნენ. საქონლის (მომსახურების), მომხმარებლის მოელ მსოფლიოში აღიარებული არჩევნის, საქონლის (მომსახურების), დამამშადებლისა და გამყიდველის შესახებ ინფორმაციის მიღების, უსაფრთხოებისა და სხვა უფლებები.

<sup>18</sup> თ. ლოდებულებები, ვ. ხუსტული, საქართველოს სამოქალაქო საკოცხის კომიტეტი, თბ., 2004, გვ. 196.

<sup>19</sup> გ. შებუა, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 20.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა და იგი კონსტიტუციურ პრინციპად არის აღიარებული. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო კალებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით”.

1996 წელს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის მიღებით საქართველომ აღიარა ის სუროი და პროგრესული მიღომები, რომელიც არსებობდა ევროპის და დასო-ს წევრ ქვეყნებში.<sup>20</sup>

საქართველოში ამ სფეროში არსებული პრობლემების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ მრავალი სპეციალური კანონის არსებობა, რომელიც ძალაში შესვლისთანავე განწირებულია შესაცლელად, რაც ბადებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესაძლებლობის მიმართ ნაპილისტურ დამოკიდებულებას.

კანონმდებლობის სამართლით შებოჭვა გულისხმობს მის უდიდეს პასუხისმგებლობას საკანონმდებლო სტაბილურობის მიმართ, რომელიც ქვეყანაში მყარი სამოქალაქო წესრიგის საფუძველია. კანონების სტრაფი ცვლა ბადებს სამართლებრივ ნიპოლიზმს. მართალია, პოსტსაბჭოური ქვეყნების სინამდვილეში ვერ გავეკვეთო კანონების სიცოცხლისუნარისანობის ხშირ შემოწმებას, მაგრამ აქაც სტაბილურობის მინმუმი უნდა შენარჩუნდეს. უფლება რომ გარანტირებული იყოს, მას ნაკლებად უნდა ემუქრებოდეს საკანონმდებლო ცვლილებები. კანონმდებლობული უნდა ათვალისწილებულების, რომ ამის უზრუნველყოფა მითი კონსტიტუციური პასუხისმგებლობაა. კონსტიტუციის პრინციპები გავაცალდებულებს კანონთა სტაბილურობას.<sup>21</sup>

მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით სსკ-ი მოიცავს მრავალ მუხლს, რომელიც ეხება ხელშეკრულებების არაკეთილისინდისერი პირობებს, უნაკლო ნივთის გადაცემის გალდებულებას, სტანდარტული პირობების მარეგულირებელ წესების, ინფორმაციის გაცემის გალდებულებასა და ა.შ. ოუმცა მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით კიდევ მრავალი საკანონმდებლო ცვლილება თუ სიახლე არის საჭირო, რათა ქართული კანონმდებლობა მოუკლოვდეს იმ სერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც ამ სფეროში საერთაშორისო დონეზე დამკაირებული.

სსკ-ის 1009-1016-ე მუხლები, რომელიც უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობას ეხება, თითქოსდა არ განიხილება მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარანტიად. ამას შეიძლება ისიც განაპირობებს, რომ მომხმარებელი კოდექსის მიერ იწოდება დაზიანებულად. უნდა ითქვას, რომ კოდექსის გარდა მრავალი კანონი ადგენს ამ სფეროში პასუხისმგებლობის მარეგულირებელ წესებს.

სსკ-ის უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმები სამოქალაქო კოდექსშია შესულია გერმანიის 1989 წლის 15 დეკემბრის „უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის საფუძველზე, თუმცა სსკ-ის არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან დებულებებს, რომელსაც ეს კანონი ადგენს.

სსკ-ის 1009-ე სარეგულაცია უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი კონკრეტულ შემთხვევაში არ უთითებს, რა სახის ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს დაზარალდებულს და შეეძლია თუ არა მას, მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება, მაშინ, როდესაც კანონი პირდაპირ

<sup>20</sup> ლ. კოპალვიშვილი, მომხმარებლის უფლებები, უსრ. სამრთალი, № 3, 2000. გვ.39.

<sup>21</sup> ბ. ზორბეგ, მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, უსრ. ადამიანი და კონსტიტუცია, №3, 2006. გვ. 45.

მოითხოვს ქონქრეტულ მუხლები მის პირდაპირ მითითებას. მართალია, ამ ხარვეზს ავსებს სსკ-ის 413-ე მუხლი, რომელიც დაზარალებულს უფლებას აძლევს, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიეცნების შემთხვევაში მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზანასთვის თუმცა სასურველი იქნებოდა, სპეციალურ მუხლებში გაკეთებულიყო არაქონებრივ ზანასთან დაკავშირებით სპეციალური დათქმები.

„უხარისხმა პროდუქციის მიეცნებული ზანასთვის პასუხისმგებლიბის შესახებ“ გერმანიის 1989 წლის 15 დეკემბრის კანონის სასარგებლობიდან უნდა თქვენს, რომ ის ცალ-ცალკე განსაზღვრავს ზანას ანაზღაურების მოცულობას პირის გარდაცვალების, სხეულის დაზიანების შემთხვევაში და ადგვენს პასუხისმგებლიბის მაქსიმალურ მოცულობას, რომლის ზღვარი შეადგენს 160 მილიონ გერმანულ მარკას (1994 წ. მდგრადარებით).<sup>22</sup>

სსკ-ს ხარვეზად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ უსარისხმა პროდუქციის მარგენულობები ნორმებში პრიდაპირ არ არის მითითებული, ბრალის რა ფორმით შეიძლება დადგეს ზანა. მართალია, 992-ე მუხლი დელიქტური ვალდებულების შემთხვევაში საუბრობს განზრას ან მართალია, 992-ე მუხლი დელიქტური ვალდებულების მუხნებულ ზანზე, თუმცა დიად რჩება ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის საკითხის, რომელიც კვრიდისტექტივს ერთ-ერთ ფუძელებლურ პრინციპად უნდა ჩაითვალოს. პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას ზანი, რომელმც მწარმოებელს არ მოუძლიერ ბრალი, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მისი ზანის ანაზღაურებისაგან განთავისუფლების საფუძვლი. როდესაც მომხმარებელი ზანადება მხოლოდ საქონლის უსარისხმის და არა მწარმოებლის ბრალეულობის გარი. მაგრამ შემთხვევაში მომხმარებელი იმულებულია, დანასარჯი გასწიოს, ვინაიდნ კერ ამტკიცებს მწარმოებლის ბრალეულობას, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა პროდუქციის მასობრივი ავტომატიზებული წარმოების დროს.

არსებობს ვარაუდი იმისა, რომ პროდუქცია უსაფრთხოდ, ხარისხიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებით დაცულია „საგარანტიო“ ან „ვარგისიანობის“ ვადგენი.

ნივთის ვარგისიანობის ვადის ცნებას სსკ-ის 496-ე მუხლი, რომელიც თავისი ნივთის ვარგისიანობის ვადის ცნებას მიღება მივინიოთ, რადგან გამოვლენილი ნაკლის შემთხვევაში შესაძლებელია ნაკლის გამოსწორების უფლება წარმოეშვას სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეობის.

ნივთის ვარგისიანობის ვადა ვანისაზღვრება იმ პერიოდით, რომლის ათვლაც იწყება მისი დამზადებიდან და რომლის განმავლობაშიც ან რომლის თარიღის დადგომამდეც ნივთი ვარგისიანი გამოსაყენებლად. აღნაშენული მუხლი კი იძლევა არა ნივთის ვარგისიანობის ვადის დეფინიციას, არამედ — ნივთის ვარგისიანობის ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლის შემთხვევაში მყიდველის მოთხოვნის უფლების გამოყენების შესაძლებლობას. კერძოდ, თუ შემთხვევაში მყიდველის მოთხოვნის უფლების განსაზღვრავს, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ვადის გამყიდველი ნივთის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას.

საგარანტიო ვადის დაწესება მნიშვნელოვანია სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევაში, რომლის დარღვევა მეორადი უფლებების წარმოშობის საფუძველი შეიძლება გახდეს, მაშინ, რომლის დარღვევა უფლებების წარმოშობის საფუძველი შეიძლება გახდეს, მაშინ, როდესაც უკვე დადგარი ზანის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, დაზუსტდეს ხანდბლებობისა და საპრეტენზიო ვადების ბუნება მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

<sup>22</sup> Современное зарубежное и международное частное право. Германское право. част. 3. автор ввидения: проф. В. Бергманн. М. 1999. стр. 56.

<sup>23</sup> საგარანტიო ვადებთან დაკავშირებით ის: ზ. ძლიერი შვილი, ნაციონალის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბ., 2006, გვ. 115-116.

ცნება – „ვარგისიანობის ვადა” არსებითად განსხვავდება „საგარანტიო ვალისაგან”<sup>23</sup>. „საგარანტიო ვადა” გულისხმობს იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ნივთის ნაკლის აღმოჩენისას გამყიდველი ვალებებულია, თავისი ხარჯებით გამოასწოროს ნაკლი იმდაგვარად, რომ მყიდველმა ნივთი გამოიყენოს დანიშნულებისამებრ. „ვარგისიანობის ვადაში” კი იგულისხმება ვადა, რომლის გასვლისას ნივთი უვარგისია დანიშნულების მიზნით გამოსაყენებლად.

კანონმდებლობაში ღიად რჩება საკითხი, ავტომატურად იწყევს თუ არა ვარგისიანობის ვადის გასვლა მწარმოებლის პასუხისმგებლობის შეწყვეტას.

გამოიყენელია მოსაზრება ვარგისიანობის ვადის ათვლასათან დაკავშირებით. მისი დენადობა იწყება მყიდველისათვის ნივთის გადაცემის მომენტიდან, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თუმცა მიგვაჩნია, რომ პროდუქციის თვისებიდან გამომდინარე, ვარგისიანობის ვადის ათვლა მწარმოებელზე უნდა იყოს დამოკიდებული, მაშინ, როდესაც საგარანტიო ვადის შემთხვევაში მიზანშეწონილია ამ ვადის ათვლა პროდუქციის მომხმარებლისათვის გადაცემის მომენტიდან.

განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს საქონლის ხარისხის განსაზღვრის სხვადასხვა წესს, რომელთაგანაც აღსანიშნავია სახელშეკრულებო მეთოდი და სტანდარტული მეთოდი.

აქტუალურია სტანდარტისა და ხარისხის შესაბამისობის საკითხი. სტანდარტი უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრირებული საყოველთაო და მრავალჯერადი მოყენებისათვის განკუთვნილი დოკუმენტია, რომელიც პროდუქციისა და მასთმ დაკავშირებული წარმოების მეთოდებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებსა და მახასიათებლებს. თუმცა სტანდარტის მოთხოვნების დაცვით დამზადებული ნივთი შესაძლებელია, არ შეესაბამებოდეს მხარეთა მიერ შეთანხმებულ ხარისხს.

სტანდარტი ეს არის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ დადგენილი ტექნიკური ნორმატივი, რომელიც წაეყენება ამა თუ იმ საქონელს.<sup>24</sup>

კომ-ში გაწევრიანების შედეგად, საქართველოს სტანდარტიზაციის შესახებ<sup>25</sup> კანონით სტანდარტის გამოუწენება სავალდებულო არ არის და ასეთ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან მინიმუმადება დაყვანილი მეწარმის კონტროლისა და ლიცენზირების მქენიზმი, მნილი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რომელიც დაუკველია მომხმარებლი, რომელსაც წარმოიდგენა არ აქვს, შეესაბამება თუ არა სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს ან მეწარმეთა მიერ შეთანხმებულ სატანდარტს ესა თუ ის პროდუქცა.

#### 4. დასკვნა

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის პრობლემა ჩვენ მიერ შესწავლილ უმეტეს ქვეყნებში სხვადასხვა სამართლებრივი ფორმებითა და საფუძლებით წერილიდება, რომელთა გაანალიზება საშუალება მოგვცა, გაგვეკეთებინა მნიშვნელოვანი დასკვნები და შეგვებუშავებინა სარეკომენდაციი წინადადებები.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში ხარისხისათვის პროდუქტის წარმოება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა არამარტო სამართლებრივადა გამართლებული, არამედ სასურველია ცივილიზებული საზღადოების დამკვიდრებისა და კეთილდღეობისათვის. საქართველოში ამ

<sup>24</sup> А. Джинчарадзе, правовое регулирование безопасности и качества товаров и услуг — важнейшая государственная задача, журнал государства и право. № 5 2004 стр 21.

მიმართულებით საკანონმდებლო ბაზა ჩამოყალიბებულია, მაგრამ პრაქტიკულად კვლევის შედეგმა გვიჩვენა, რომ ამ სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა სრულყოფას და დახვეწის მოითხოვს.

სკ-ში პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქციით მიეყრიბებული ზიანისათვის ერთადერთი ინსტიტუტია, რომელზეც მეცნიერული კომენტარი არ გაკეთებულა. შესაძლოა იყო იმტერი, რომ იმ ღრმისათვის, როდესაც დაიწერებოდა სსკ-ის კომენტარი, ეს სფერო ცოდნის უფრო ნაფიციერ წყაროდ იქცეოდა, ვინაიდნ კანონქის პრაქტიკაში გამოყენების შედეგად გარეკვეული გამოცდილება დაგროვდებოდა. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა.

უხარისხო პროდუქციით გამოწვეული ზიანის პასუხისმგებლობის ინსტიტუტის სრულყოფისათვის საჭიროა, ქვეყნის მასტებით სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზის საფუძვლზე გაკეთდეს გარკვეული დასკვნები, თუმცა ამ სფეროში პრაქტიკის სიცორის გამო რჩება ერთი გზა – საკანონმდებლო მასლის კრიტიკული ანალიზის საფუძვლზე გაკეთდეს სარეკომენდაციის ხასიათის წილადებები და შენიშვნები.

საკანონმდებლო მარეგულირებელი აქტების სრულყოფის მიზნით სასურველია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- საკანონმდებლო ღონისძიების ჩამოყალიბების ხარისხისანი პროდუქციის ცნება და დადგინდეს ხარისხის შევასების კრიტერიუმები.
- სსკ-ს 1011-ე მუხლის საფუძვლზე პროდუქტის ცნება და მწარმოებლის სამართლებრივი სტატუსი ერთად არის გაერთიანებული და მიგარჩინა, რომ სრულყოფილებისათვის ცალკეული მუხლები უნდა იყოს ჩამოყალიბებული პროდუქტის ცნება და მისი განსაზღვრის კრიტერიუმები, მწარმოებლის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა.
- პროდუქტის ცნებაში ელექტროენერგიასთან ერთად გათვალისწინებულ იქნეს ბუნებრივი არი.

• არასრულყოფილად მიმართა 1011-ე მუხლის 3-პუნქტი, სადაც მწარმოებლად მიჩნეულია გამყიდველი, გამქიანულებელი, ლიზინგის გამცემი, მაშინ, როდესაც ამ პუნქტში მწარმოებლის სტატუსით შეიძლება დაქატოს მჩუქრებელი, მწარედე.

• სსკ-ს 1015-ე მუხლის მეორე პუნქტში დაზუსტდეს, რა სახის მოთხოვა ქარწყობულება ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

• სამოქალაქო კოდექსში ჩამოყალიბების ძირითადი დებულებები უხარისხო პროდუქციით გამოწვეულ ზიანის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, რომელთა გაშლა და დეტალური მოწესრიგება მოხდება ამ სფეროს მარეგულირებელ სპეციალურ ნორმატიულ აქტებში პროდუქტის სახეების მიხვდვით.

• უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის ინსტიტუტის სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებით სასურველია, გაიმიჯნოს სახელშეკრულებო და დეინიტირი პასუხისმგებლობის საფუძლები.

• დამკაიდრდეს ერთიანი ტერიტორია სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მომავალში ვისუბრიო მომხმერებელთა უფლებების დაცვის სამართლის, როგორც სამოქალაქო სამართლის ქვედარების შექმნაზე და დაგენერირება სირთულეების თავიდა აცილებაში, რომელიც თან ქვედარების შექმნაზე და დაგენერირებასთან სხვადასხვარ განმარტებას.

• სასურველია, დამკაიდრდეს ამ სფეროში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, როცა საქმე ეხება უხარისხო პროდუქტით აღმარინის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მოსპობას.

• სამოქალაქო სამართლის მატერიალური და საპროცესო ნორმების საფუძვლზე

გადანაწილდეს მხარებს შორის მტკიცების ტვირთი.

თანამედროვე ეტაპზე უხარისხო პროდუქციით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი ონსტიტუტის განსაზღვრა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ვიმეორენებთ, რომ ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების და წინადაღების გათვალისწინება გარკვეულ წვლილს შეიტანს აღნიშნული პროცედურის მექანიზმის მოწესრიგებაში.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში უმთავრესი მოთხოვნა, რასაც უნდა პასუხობდეს ბაზარზე გატანილი ნებისმიერი პროდუქცია, არას პროდუქციის უსაფრთხოების (უვნებლობის) პრინციპი. ნებისმიერი მეწარმე ვალდებულია, სამიმშმარებლო ბაზარზე გატანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უკნებლი პროდუქცია და კეთილსინდისიერად მოეყროს მომხმარებლის უფლებების დაცვას. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ვალდებულია, შექმნას სამართლებრივი დაცვის გარანატიერი ეკინომიკურ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტებისათვის.

საერთაშორისო პრაქტიკში დამკვიდრებული ნორმების თანახმად, ხარისხი განიხილება როგორც კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი. ხარისხის რეგულირება სახელმწიფოებრივ ჩარევას ნაკლებად გულისხმობს და სახელისუფლებო ორგანოების ზრუნვის უმთავრესი საგანი პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნია მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ხარისხთან დაკავშირებული საკითხების დარგულირება სამოქალაქო სამართლებრივ ჭრილში. რაც შეეხება პროდუქციის უსაფრთხოებას, აუცილებელია დაწესდეს სისხლის და აღმინისტარაციული სამართლის პასუხისმგებლობის მკაცრი ზომები.